საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის

განკარგულება

10/02/2022 N 40

თბილისი

შპს "სიფეი" - ს საგადახდო მომსახურების პროვაიდერად რეგისტრაციის თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, ამავე კანონის 48^2 მუხლის პირველი პუნქტის, „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის მე–15 მუხლის მე-4 პუნქტის, „საგადახდო მომსახურების პროვაიდერის რეგისტრაციისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 28 თებერვლის N29/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე–4 მუხლისა და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 28 იანვრის N13/04 ბრძანების საფუძველზე:

1. შპს „სიფეი" (საიდენტიფიკაციო კოდი 405228819) რეგისტრირებულ იქნას საგადახდო მომსახურების პროვაიდერად და მიენიჭოს სარეგისტრაციო ნომერი 0094 - 2904;

2. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული და გაუქმებული პროვაიდერების ჩამონათვალი განთავსებულია საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე (www.nbg.gov.ge) საგადახდო სისტემების სექციაში;

3. აღნიშნული ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ. N64), მისი ოფიციალურად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მხარისათვის გაცნობისთანავე.

არჩილ მესტვირიშვილი

ვიცე-პრეზიდენტი
საქართველოს ეროვნული ბანკი